



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 23

ქ. გარდაზანი

23.08.2024



23-06-4-202408231225

„გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის
პროგრამის

ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის
მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის
პროგრამის ქვეპროგრამების დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; www.matsne.gov.ge; 29/12/2023;
სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016564) შეტანილ იქნეს შემდეგი
ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებულ დანართში №12 „სტუდენტების მატერიალური
დახმარების პროგრამა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 02 15) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“
ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შესაძლებელია ერთი სტუდენტი დაფინანსდეს წელიწადში ორჯერ. პროგრამა
ითვალისწინებს წლის მანძილზე პირველი 70 (სამოცდაათი) განცხადების თანხის
დაფარვას. განცხადება საჭიროა წარმოდგენილ იქნეს პირველი სემესტრის შემთხვევაში 15
სექტემბრამდე, ხოლო მეორე სემესტრის - 15 მარტამდე, გადასახადის დაფარვის
საბოლოო ვადის მითითებით;“.

2. დადგენილებით დამტკიცებულ დანართში №23 „ბავშვთა ადრეული და თერაპიული ინტერვენციის პროგრამა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 02 14) მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თანხა ანაზღაურდება იურიდიული პირის მიერ მომსახურების დასრულებისა და არაუმეტეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრება 10 დეკემბერი.“

„5. მუნიციპალიტეტის მერია დააფინანსებს 120 (ას ოცი) განცხადებას, მომართვის რიგითობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

